Research

ემიგრაცია და ფულადი გზავნილების ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე (2013-2022)

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები
გამოცემა #146

საქართველო ემიგრაციის ქვეყნად მიიჩნევა[1]. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ქვეყნიდან ემიგრაცია ხასიათდება, როგორც შრომითი მიგრაცია, რომელიც გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით (უმუშევრობის მაღალი დონე, სიღარიბე და დაბალი ხელფასები).

სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ ქართველი ემიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი არალეგალურად ცხოვრობს და მუშაობს მიმღებ ქვეყანაში[2]. საქართველოდან წასული ემიგრანტების მთავარი მოტივაციაა საქართველოში მყოფი ოჯახებისთვის ფულის გამოგზავნა, რათა უზრუნველყონ მათი საცხოვრებელი პირობები[3].

წინამდებარე ბიულეტენში მიმოხილულია საქართველოდან ბოლო ათწლეულში ემიგრაციის ტენდენციები და ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში მაკრო და მიკრო დონეზე.

1. Interrelations between Public Policies, Migration and Development in Georgia | OECD Development Pathways | OECD iLibrary (oecd-ilibrary.org).
2. migration.commission.ge/files/ms_2021-2030_eng_08.02.21.pdf.
3. ms_2021-2030_eng_08.02.21.pdf (commission.ge).

ძირითადი მიგნებები

- გასულ ათწლეულში საშუალო ემიგრაციულმა ნაკადმა საქართველოში 97 ათასი შეადგინა, ხოლო მიგრაციულმა სალდომ 300 ადამიანი. თუმცა, თუ გამოვრიცხავთ ფორსმაჟორულ მოვლენებს (COVID-19 პანდემიასა და უკრაინაში მიმდინარე ომს), საშუალო მიგრაციული სალდო -7 ათასი იყო.
- 2010 წლიდან 2020 წლამდე საქართველოდან ემიგრირებულთა ჯამური რაოდენობა 17%-ით შემცირდა და 669 ათასი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ემიგრირებულთა ჯამური რაოდენობა 2020 წელს ქვეყნის მოსახლეობის 18%-ს შეადგენდა.
- 2010 წლიდან 2020 წლამდე პოსტსაბჭოთა ქვეყნების წილი საქართველოდან ემიგრირებული ადამიანების თვალსაზრისით შემცირდა, 75%-დან 64%-მდე. იმავდროულად, ევროკავშირის ქვეყნებისა და დიდი ბრიტანეთის წილი 20%-დან 27%-მდე გაიზარდა, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების წილი - 3%-დან 7%-მდე.
- 2013 წლიდან 2022 წლამდე საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა 196%-ით გაიზარდა (1.48 მილიარდი აშშ დოლარიდან 4.4 მილიარდ აშშ დოლარამდე).
- ფულადი გზავნილების წლიური მოცულობის ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა 2021 წლიდან 2022 წლამდე (86%). 2022 წელს მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებული იყო რუსეთიდან ფულადი გზავნილების თვალშისაცემი ზრდით (0.41 მილიარდი აშშ დოლარიდან 2.1 მილიარდ აშშ დოლარამდე).
- ბოლო ათწლეულში საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება ფულად გზავნილებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2013 წლიდან 2022 წლამდე ფულადი გზავნილების ოდენობა, როგორც მშპ-ს წილი, 11%-დან 16%-მდე გაიზარდა.
- 2020 წლიდან ფულადი გზავნილები ექსპორტიდან შემოსავლების შემდეგ უცხოური ვალუტის შემოდინების სიდიდით მეორე წყარო გახდა.

ძირითადი მიგნებები

- 2013 წლიდან 2022 წლებში საშუალო თვიური ფულადი გზავნილი ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობისთვის 573 ლარს შეადგენდა, თვიური შემოსავლის - 41%-ს. 2022 წელს, ფულადი გზავნილების მოცულობის 86%-იანი ზრდის მიუხედავად, მიმღები შინამეურნეობების საშუალო თვიური ფულადი გზავნილები მხოლოდ 6%-ით გაიზარდა. რაც მიუთითებს, რომ ფულადი გზავნილების მოცულობის წლიური ზრდა 2022 წელს მთლიანად არ აისახა ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობებზე და მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლოა, მიმართული იყო რუს იმიგრანტებზე, რომლებიც 2022 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში.
- ბოლო ათწლეულში, ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების საშუალო შემოსავალმა 1,398 ლარი შეადგინა, რაც 28%-ით აღემატება იმ შინამეურნეობების საშუალო თვიურ შემოსავალს, რომლებიც არ იღებდნენ ფულად გზავნილებს.
- უკანასკნელ ათწლეულში, საშუალოდ ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების 38%-ს ჰქონდა შემოსავალი დაქირავებული დასაქმებიდან. ამის საპირისპიროდ, იმ შინამეურნეობების წილი, რომლებიც არ იღებდნენ ფულად გზავნილებს და ჰქონდათ შემოსავალი დაქირავებული დასაქმებიდან, შესამჩნევად მაღალი, საშუალოდ 52% იყო. რაც მიუთითებს იმაზე, რომ ფულადი გზავნილები, შესაძლოა, უარყოფითად მოქმედებს ემიგრანტების ოჯახის წევრების დასაქმების მოტივაციაზე. ან, შესაძლოა, რომ ამ შინამეურნეობებში შრომისუნარიანი წევრები ემიგრაციაში არიან.
- გასულ ათწლეულში ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობები 4%-ით ნაკლებს ხარჯავდნენ საბაზისო მოთხოვნილებებისათვის, ხოლო 5%-ით მეტს - დანაზოგის, ფულის გასესხებისა და ქონების შეძენისათვის იმ შინამეურნეობებთან შედარებით, რომლებიც არ იღებენ ფულად გზავნილებს. ეს შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ფულადი გზავნილები ხელს უწყობს მიმღები შინამეურნეობების შემოსავლის ნამატის შექმნას, რაც საშუალებას აძლევს მათ, მეტი სახსრები გამოყონ ფინანსური უსაფრთხოებისა და აქტივების შექმნისათვის.

ემიგრაციული ნაკადი და მიგრაციული სალდო



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

- 2013 წლიდან 2017 წლამდე ემიგრაციული ნაკადი საქართველოდან 6%-ით შემცირდა და მან 85 ათასი ადამიანი შეადგინა. ამ პერიოდში საშუალოდ მიგრაციული სალდო[4] -7 ათასი იყო.
- 2018 წლიდან ემიგრაციული ნაკადები გაიზარდა და 2019 წელს 105 ათასს მიაღწია. სხვა ფაქტორებთან ერთად 2018 წლიდან ემიგრაციული ნაკადის ზრდა, შესაძლოა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2017 წელს დადებულმა სავიზო ლიბერალიზაციის შეთანხმებამ განაპირობა.
- 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიისა და მოგზაურობის შეზღუდვების გამო ემიგრაციული ნაკადი 74 ათასამდე შემცირდა, მიგრაციულმა სალდომ კი 16 ათასი შეადგინა. თუმცა 2021 წელს ემიგრაციული ნაკადი 100 ათას ადამიანამდე გაიზარდა და ბოლო ათწლეულში ყველაზე მაღალი უარყოფითი მიგრაციული სალდო დაფიქსირდა (-26 ათასი).
- 2022 წელს ემიგრაციული ნაკადი კიდევ უფრო გაიზარდა და ბოლო ათწლეულში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, 125 ათას ადამიანს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მიგრაციული სალდოც მნიშვნელოვნად გაიზარდა - 55 ათას ადამიანამდე. რაც ბოლო ათწლეულში ყველაზე მაღალი დადებითი მაჩვენებელი იყო. 2022 წელს მიგრაციული სალდოს ზრდა რუსეთ-უკრაინის ომმა გამოიწვია. კერძოდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბევრმა რუსმა, ბელარუსმა, უკრაინელმა და რუსეთსა და უკრაინაში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ გადაწყვიტა საქართველოში გადმოსვლა.
- შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გასულ ათწლეულში საშუალო ემიგრაციულმა ნაკადმა 97 ათასი შეადგინა, ხოლო მიგრაციულმა სალდომ 300 ადამიანი. თუმცა, თუ გამოვრიცხავთ ფორსმაჟორულ მოვლენებს (COVID-19-ის პანდემიასა და უკრაინაში მიმდინარე ომს), საშუალო მიგრაციული სალდო -7 ათასია.

4. მიგრაციული სალდო განისაზღვრება, როგორც იმიგრანტების რაოდენობისა და ემიგრანტების რაოდენობის სხვაობა, მოქალაქეებისა და არამოქალაქეების ჩათვლით. https://databank.worldbank.org/metadataglossary/population-estimates-and-projections/series/SM.POP.NETM.

საქართველოდან ემიგრირებული ადამიანების ჯამური რაოდენობა



წყარო: UN DESA, რუსეთის ფედერალური სტატისტიკის სამსახური, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

- საქსტატის მონაცემები არ ასახავს ემიგრაციის სტატისტიკის მთლიან სურათს, რადგან ის არ მოიცავს ინფორმაციას ემიგრანტების ჯამურ რაოდენობაზე. საქართველოდან ემიგრირებული ადამიანების ჯამური რაოდენობის ზოგადი, თუმცა არასრული სურათი მოცემულია UN DESA-ს სტატისტიკაში[5], რომელიც გამოითვლება უცხოეთში დაბადებული მოსახლეობის მაჩვენებლით. გარდა ამისა მონაცემების სიზუსტისთვის, 2020 წელს რუსეთში მცხოვრები საქართველოდან წასული ემიგრანტების რაოდენობა აღებულია რუსეთის ფედერალური სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატიტიკიდან[6].

- მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2010 წლიდან 2020 წლამდე საქართველოდან ემიგრირებული ადამიანების ჯამური რაოდენობა 17%-ით შემცირდა და 669 ათასი ადამიანი შეადგინა. 2020 წლის მაჩვენებლით საქართველოდან ემიგრირებული ადამიანების ჯამური რაოდენობა, ქვეყნის მოსახლეობის 18%-ს შეადგენს.

- მიუხედავად მნიშვნელოვანი კლებისა, (42%), საქართველოდან ემიგრირებული ადამიანების მთავარ მიმღებ ქვეყნად რუსეთი რჩება (258 ათასი ადამიანი), რომელსაც მოჰყვება საბერძნეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი, 85 ათასი, 65 ათასი და 49 ათასი ადამიანით, შესაბამისად.

- გაანალიზებულ პერიოდში მთავარ მიმღებ ქვეყნებს შორის ემიგრანტების ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა აშშ-ში (77%), იტალიასა (60%) და სომხეთში (47%).

- აღსანიშნავია, რომ გაანალიზებულ პერიოდში პოსტსაბჭოთა ქვეყნების წილი ემიგრაციის თვალსაზრისით ოდნავ შემცირდა, 75%-დან 64%-მდე. იმავდროულად, ევროკავშირის ქვეყნებისა და დიდი ბრიტანეთის წილი 20%-დან 27%-მდე გაიზარდა, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების წილი - 3%-დან 7%-მდე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველოდან ემიგრირებული ადამიანების ნაწილი ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ, რომლებმაც ქვეყანა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დატოვეს.

5. https://www.migrationdataportal.org/themes/international-migrant-stocks.
6. https://rosstat.gov.ru/vpn_popul?fbclid=IwAR0dhNHpuzqR9bzBKkh7_4gZg1NNdDKPcmJFqkhjafFT8lTAVdqWz-10CXg.

ფულადი გზავნილები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

- 2013 წლიდან 2022 წლამდე საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა 1.48 მილიარდი აშშ დოლარიდან 4.4 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. საერთო ჯამში, ზრდამ 196%-ს მიაღწია.
- ყველაზე მაღალი წლიური ზრდა დაფიქსირდა 2022 წელს (86%). 2022 წელს ფულადი გზავნილების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობის თვალშისაცემმა მატებამ (0.41 მილიარდი აშშ დოლარიდან 2.1 მილიარდ აშშ დოლარამდე).
- სავარაუდოა, რომ რუსეთიდან ფულადი გზავნილების ზრდა უკრაინაში მიმდინარე ომსა და საქართველოში რუსი იმიგრანტების დიდ ნაკადს უკავშირდება.
- 2013 წლიდან 2021 წლამდე ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილი ფულად გზავნილებში საქართველოში ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში 26%-დან 41%-მდე გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების წილის ზრდა, შესაძლოა გამოწვეული იყოს ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2017 წელს დადებული სავიზო ლიბერალიზაციის შეთანხმებით და ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან წასული ემიგრანტების რაოდენობის ზრდით.
- თუმცა, 2022 წელს რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინების მკვეთრი ზრდის გამო, ევროკავშირის წილი 24%-მდე დაეცა.

ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში მაკრო დონეზე

ფულადი გზავნილები, როგორც მშპ-ს წილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში



- იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოდან ემიგრაციის მაჩვენებელი მაღალია, ქვეყნის ეკონომიკა დიდწილად დამოკიდებულია ფულადი გზავნილების შემოდინებაზე. 2013 წლიდან 2022 წლამდე ფულადი გზავნილების მოცულობა, როგორც მშპ-ს წილი, 11%-დან 16%-მდე გაიზარდა.
- 2022 წელს საქართველო ფულადი გზავნილების მოცულობით, როგორც მშპ-ს წილი, 24-ე ადგილზე იყო მსოფლიოში და მეორე ადგილზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, სომხეთის შემდეგ.

წყარო: მსოფლიო ბანკი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

შემოსავლები ფულადი გზავნილებიდან, საერთაშორისო ტურიზმიდან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან და ექსპორტიდან



- ფულადი გზავნილების მოცულობის უცხოური ვალუტის შემოდინების სხვა წყაროებთან (ექსპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საერთაშორისო მოგზაურობა) შედარება ცხადყოფს, რომ ბოლო ათწლეულში ფულადი გზავნილები საშუალოდ 23%-ით აღემატებოდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. თუმცა 17%-ით ჩამორჩებოდა საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებსა და 45%-ით ექსპორტის მოცულობას.
- 2020 წლიდან, როდესაც COVID-19-ის კრიზისის დროს საერთაშორისო ტურიზმიდან და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლები შემცირდა, ექსპორტის შემდეგ ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის შემოდინების მთავარი წყარო გახდა. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულებას ფულად გზავნილებზე.

წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში მიკრო დონეზე



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

- საქართველოს ეკონომიკაზე ემიგრაციისა და ფულადი გზავნილების გავლენის შესაფასებლად განვიხილავთ საქსტატის მიერ ჩატარებულ შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევას. ეს საშუალებას მოგვცემს, შევადაროთ ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობა იმ შინამეურნეობებისას, რომლებიც არ იღებენ ფულად გზავნილებს.
- 2013 წლიდან 2019 წლამდე ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წილი მერყეობდა. თუმცა, 2020 წლიდან შეინიშნება მზარდი ტენდენცია (5.8%-დან 2020 წელს 6.6%-მდე 2022 წელს).
- ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების ფულადი გზავნილების საშუალო თვიურ რაოდენობაზე დაკვირვებამ ორი ტენდენცია წარმოაჩინა: გზავნილების ოდენობა 2013-2016 წლებში მერყეობდა, ხოლო 2017-2022 წლებში მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. ეს ზრდა, შესაძლოა, ამ პერიოდში ლარის გაუფასურებით ყოფილიყო გამოწვეული. 2013-2022 წლებში ფულადი გზავნილებიდან მიღებული საშუალო შემოსავალი 274 დოლარიდან 266 დოლარამდე შემცირდა.
- 2013-2022 წლებში საშუალო თვიური ფულადი გზავნილის რაოდენობა ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობისთვის 573 ლარს შეადგენდა. ეს ამ შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლების 41%-ს შეადგენს.
- 2022 წელს, ფულადი გზავნილების მოცულობის 86%-იანი ზრდის მიუხედავად, მიმღები შინამეურნეობებისთვის საშუალო თვიური ფულადი გზავნილები მხოლოდ 6%-ით გაიზარდა. რაც მიუთითებს, რომ ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდა 2022 წელს მთლიანად არ აისახა ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობებზე და მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლოა, მიმართული იყო რუს იმიგრანტებზე, რომლებიც 2022 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში.
- უკანასკნელ ათწლეულში ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების საშუალო თვიურმა შემოსავალმა 1,398 ლარი შეადგინა, რაც 28%-ით აღემატება ფულადი გზავნილების არმიმღები შინამეურნეობების საშუალო თვიურ შემოსავალს.

ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში მიკრო დონეზე





წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

- უკანასკნელ ათწლეულში, საშუალოდ ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების 38%-ს ჰქონდა შემოსავალი დაქირავებული დასაქმებიდან. ამის საპირისპიროდ, იმ შინამეურნეობების წილი, რომლებიც არ იღებდნენ ფულად გზავნილებს და ჰქონდათ შემოსავალი დაქირავებული დასაქმებიდან, შესამჩნევად მაღალი, საშუალოდ 52% იყო.

- რაც მიუთითებს იმაზე, რომ ფულადი გზავნილები, შესაძლოა, უარყოფითად მოქმედებს ემიგრანტების ოჯახის წევრების დასაქმების მოტივაციაზე. ან, შესაძლოა, რომ ამ შინამეურნეობებში შრომისუნარიანი წევრები ემიგრაციაში არიან.

- გასულ ათწლეულში საშუალო თვიური დანახარჯების შედარება იმ შინამეურნეობებს შორის, რომლებიც იღებენ ფულად გზავნილებს და რომლებიც არ იღებენ ფულად გზავნილებს, ცხადყოფს, რომ ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობები თავიანთი მოხმარების 4%-ით ნაკლებს უთმობენ ძირითად საჭიროებებს[7] იმ შინამეურნეობებთან შედარებით, რომლებიც არ იღებენ ფულად გზავნილებს. ამის საპირისპიროდ, ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობები დანახარჯების 5%-ით მეტს გამოყოფენ დანაზოგებზე, ფულის გასესხებასა და ქონების შეძენაზე.

- ეს მიუთითებს იმაზე, რომ ფულადი გზავნილები, შესაძლოა, ქმნიდეს შემოსავლის ნამატს მიმღები შინამეურნეობებისათვის, რაც მათ საშუალებას აძლევს, ჰქონდეთ მეტი მოქნილობა და მეტი სახსრები მიმართონ ფულის დაზოგვაზე და ქონების შეძენაზე.

7. ხარჯები ძირითად საჭიროებებზე მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: საკვები, სასმელი და თამბაქო; ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; საყოფაცხოვრებო ნივთები; ჯანდაცვა; კომუნალური გადასახადები.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

ძირითადი ინდიკატორები	2019	2020	2021	2022	2023 I კვ.	2023 II კვ.	2023 III კვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 470.7	15 842.9	18 629.4	24 610.2	6 247.1	7 686.4	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2	4 255.7	5 023.2	6 671.9	1 672.0	2 070.4	-
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	5.0%	-6.8%	10.5%	10.1%	7.7%	7.8%	-
ინფლაცია	4.9%	5.2%	11.8%	11.9%	7.6%	1.6%	0.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშდოლარი)	1 335.8	589.0	1 241.8	2 097.9	566	506	-
მუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	17.3%	18%	16.7%	15.6%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 741	7 535	8 205	7 635	8 039	8 096	8 042
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	20.1%	19.7%	18.9%	19.9%	-	-	-

წყარო: საქსტატი

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინ-ფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუ-ხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხის-მგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

ნიკოლოზ ბაქრაძე
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org